*<u>პროექტი</u>*

**საქართველოს მთავრობის**
**განკარგულება N**

**„.....”.....„ 2020წ.**
**ქ. თბილისი**

**შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ საახალწლო გასანათებელი მოწყობილობების და სტრინგების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,სახელმწიფოებრივიდასაზოგადოებრივიმნიშვნელობისღონისძიებისშეზღუდულვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შპს „თბილსერვის ჯგუფს“, მიეცეს უფლება, საახალწლო გასანათებელი მოწყობილობების და სტრინგების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 659 000.00 (ექვსას ორმცდა ცხრამეტი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ფარგლებში ,შპს„თბილსერვისჯგუფი“-ს 2020 წლის საკუთარი სახსრებით.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგიგახარია**

## განმარტებითი ბარათი

## შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ საახალწლო გასანათებელი მოწყობილობების და სტრინგების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის თაობაზე

**ა) ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ:**

საქართველოს მთავრობის განკარგულება პროექტის (შემდგომი - განკარგულების პროექტი) მიღება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

მოგახსენებთ, რომ შ.პ.ს. "თბილსერვის ჯგუფი" ასრულებს საახალწლო ღონისძიებების მოწყობის სამუშაოებს ქალაქ თბილისის მასშტაბით, მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში პრიორიტეტი ენიჭება საახალწლო მორთვა გაფორმებას, შესაბამისად 2021 წლის ახალი წლის ღონისძიებისათვის საჭიროა ქალაქ თბილისისთვის საახალწლო მორთვა-გაფორმება.

შპს "თბილსერვის ჯგუფი" - ს მიერ 2020 წლის 01 სექტემბერს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT200013382) საახალწლო გასანათებელი მოწყობილობების და სტრინგების შესყიდვა, წინადადების მიღება დამთავრდა 2020 წლის 02 ოქტომბერს, 02 ოქტომბერს სატენდერო კომისის ოქმი N 2-ით რიგით პირველ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის მიზეზით მიეცა დისკვალიფიკაცია, რომელმაც სატენდერო კომისის ოქმი N 2 -ით მიღებული გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საჩივარი შეიტანა დავების საბჭოში 08 ოქტომერს, ხოლო საჩივარი გააუქმა 23 ოქტომბერს. 2020 წლის 26 ოქტომბერს სატენდერო კომისის ოქმი N 5 - ით რიგით მეორე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის მიზეზით მიეცა დისკვალიფიკაცია, ასევე რიგით მესამე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო დოკუმენტაცასთან შესაბამისობის განხილვას და ხელშეკრულების გაფრორმებას დასჭირდებოდა დაახლოებით 15 დღე. სატენდერო დოკუმენტაციით შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა იყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღე. ყოველივე ზომაღნიშნულიდან გამომდინარე საახალწლო გასანათებელი მოწყობილობების და სტრინგების მოწოდება განხორციელდება დაახლოებით 2020 წლის 30 დეკემბერს, რაც დაგვიანებული იქნებოდა და ვეღარ განხორციელდებოდა დაგეგმილი პროექტი. ტენდერის გამოცხადების დროს დაგეგმილი იყო, რომ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა უნდა ყოფილიყო არაუგვიანეს 2020 წლის 15 დეკემბრისა. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან 2020 წლის 01 სექტემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერი NAT200013382 საახალწლო გასანათებელი მოწყობილობების და სტრინგების შესყიდვა, 2020 წლის 26 ოქტომბერს დასრულდა შეწყვეტით.

შპს "თბილსერვის ჯგუფს" არ გააჩნია მარაგები საახალწლო გასანათებელი მოწყობილობების და სტრინგების. შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ის თანამშრომლები ვერ შეძლებენ ქ. თბილისში მორთვა გაფორმებას და შესაბამისად შპს "თბილსერვის ჯგუფი" ვერ შეასრულებს საკუთარ ვალდებულებებს, რითაც საფრთხე ექმნება ორგანიზაციის ფუნქციონირებას, რადგან ქ. თბილისში სახალწლო ღონისძიებების მოწყობის სამუშაოების ვალდებულება აქვს აღებული შპს "თბილსერვის ჯგუფს". მოცემულმა ვითარებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივ ინტერესებს, ვინაიდან ქ. თბილისში არ იქნება საახალწლო ღონისძიებების შესაბამისად მორთული, რაც იმოქმედოს საზოგადოების საახალწლო განწყობაზე, მითუმეტეს ბავშვებისათვის აუცილებელია საახალწლო ღონისძიებების გაფორმება, რომ შევუქმნათ 2021 წლის ახალი წლის ღონისძიებისათვის შესაბამისი გარემო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით აუცილებელია : 1. გირლანდა ნათურით - 5000 მეტრი, 2. გირლანდის ნათურები - 5000 ცალი, 3. მანათობელი სტრნინგი შავი PVC სადენზე - 10000 ცალი.

**ბ) ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ:**

სამართლებრივი აქტის პროექტი არ გამომდინარეობს ევროკავშირის სამართლებრივი აქტებიდან.

**გ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:**
განკარგულების პროექტით გათვალისწინებული საახალწლო გასანათებელი მოწყობილობების და სტრინგების ღირებულება შეადგენს 659 000.00 (ექვსას ორმცდა ცხრამეტი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს შპს „თბილსერვისჯგუფი"-ს 2020 წლის საკუთარი სახსრებიდან.

**დ) პროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

ქ. თბილისში დაგეგმილ იქნა საახალწლო გასანათებელი მოწყობილობებით და სტრინგებით ქ. თბილისის ქუჩების საახალწლო ღონისძიებების შესაბამისად მორთვა.

**ე) პროექტის განხორციელების ვადები:**
პროექტი განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვინეს 3 დეკემბრისა.
**ვ) პროექტის ავტორი და წარმდგენი:**
წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ავტორია შპს ,,თბილსერვისჯგუფი" (ს/ნ 206267494), წარმდგენი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.